

ბლოკჩინი: ინოვაციური ტექნოლოგიის გავლენა ეკონომიკასა და  
საინვესტიციო გარემოზე

ქრისტინე ჯიქია  
ქეთევანი გელეიშვილი

ჯგუფი №1

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დანელია, ბიზნეს სკოლის ასოცირებული  
პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქრისტინე ჯიქია 22.06.2018 წ.

ქეთევანი გელეიშვილი 22.06.2018 წ.

## *აბსტრაქტი*

ბლოკჩეინი არის ინოვაციური ტექნოლოგია, ინსტიტუციური ევოლუციის მაგალითი, რომელიც გვთავაზობს დეცენტრალიზაციის გზით გარღვიოს არსებული ცენტრალიზირებული სისტემა.

ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული Smart Contract-ები თავისი რევოლუციური ბუნებიდან გამომდინარე იძლევა პოტენციალს შეიქმნას სტარტაპ კომპანიები, აპლიკაციები, განვითარდეს ინოვაციურ-ტექნოლოგიური გარემო, რაც, გარკვეულწილად გააჯანსაღებს საქართველოს ეკონომიკას და საინვესტიციო გარემოს. საკვლევი თემა მოიცავს ტექნოლოგიის სხვადასხვა ასპექტებს; თუმცა, მიუთითებს, რომ გაცილებით მეტია შესასწავლი ტექნოლოგიის დანერგვა-გავრცელების კუთხით. ტექნოლოგია საჭიროებს მუდმივ შემოწმებას, ანალიზს და დისკუსიას. მათ შორის, მნიშვნელოვანია სამომხმარებლო კონფიდენციალურობის დაცვა და რეგულირება.

კვლევის მიზნების მისაღწევად, გამოყენებულ იქნა საკვლევი თემატიკის შესახებ გამოქვეყნებული სტატიები, სამეცნიერო წიგნები, სადისერტაციო ნაშრომები და ინტერნეტ რესურსებში არსებული მასალები. კვლევაში გამოყენებული თვისებრივი მეთოდის და Case Study-ის ანალიზის საფუძველზე პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციები გამოყენებადი იქნება ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გავრცელება-დანერგვის მიმართულებით.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ბლოკჩეინი, ინოვაცია, დეცენტრალიზაცია, Smart Contracts, ეკონომიკა, ინვესტიცია.

## *Abstract*

Blokchain is an innovative technology, an example of institutional evolution that offers the way to break the existing centralized system through the decentralization that has no alternatives today.

Smart Contracts, which are based on the Blockchain technology provides the potential to create startup companies, applications and develop innovative-technological environment, improve the existing services in various industrial sectors and improve Georgian economy and investment environment with the help of its revolutionary nature.

Research topic covers various aspects of technology; However, it also indicates that we have to study much more about the introduction and implementation of technology. Technology requires constant checking, analysis and discussion. It is important to protect and regulate the confidentiality.

With the purpose of achieving the objectives, we have used published articles, scientific books, dissertation papers and available online resources about research topic. Given recommendations in the project, on the basis of the qualitative method and Case Study analysis used in the survey, will be usable for the implementation and spreading of Blockchain technology.

**Key words:** Blokchain, innovation, decentralization, Smart Contracts, economy, investment.